**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა** N 37 1634

02/12/2016

**ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №66–ში მდებარე 3418 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების №1 და №2 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.359) პრივატიზების შესახებ განმეორებითი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე**

---

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის „დ"–ქვეპუნქტის „დ.ა"–ქვეპუნქტის, „ე"–ქვეპუნქტის „ე.ე"–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები"-ს მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №66–ში მდებარე 3418 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების №1 და №2 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.359) პრივატიზების შესახებ განმეორებითი ელექტრონული აუქციონის (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) გამოცხადების თაობაზე" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ნოემბრის №38 199 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**1.1.** ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №66–ში მდებარე 3418 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების №1 და №2 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.359) პრივატიზების შესახებ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი.

**1.2.** განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №66–ში მდებარე 3418 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების №1 და №2 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.359) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 50000 (ორმოცდაათიათასი) ლარი.

**1.4.** განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №66–ში მდებარე 3418 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების №1 და №2 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.359) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის (50000 (ორმოცდაათიათასი) ლარის) 10%–ის ოდენობით.

**1.5.** განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩა №66–ში მდებარე 3418 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების №1 და №2 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.359) საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის (50000 (ორმოცდაათიათასი) ლარის) 10%–ის ოდენობით.

**1.6.** ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

**2.** ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი